



**შემოქმედებითი ნაპერწკალი:**

**სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობითა და ბრიტანეთის საბჭოების დაფინანსებით კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდება.

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსით, კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით გაიმარჯვა ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში: „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“.

„შემოქმედებითი ნაპერწკალი“ არის 5-წლიანი ინიციატივა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო საუნივერსიტეტო და ინსტიტუციურ პარტნიორობებს სამეწარმეო უნარების და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებაში. პროგრამა ხორციელდება დიდ ბრიტანეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ [ვებგვერდი](#).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კილის უნივერსიტეტის თანამშრომლობით შექმნილი პროექტის მიზანია:

- სტუდენტების და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებული ახალგაზრდების სამეწარმეო უნარების განვითარება;
- ახალი ბიზნესის ამოქმედების და მისი ფუნქციონირების მხარდაჭერა ინკუბაციის საშუალებით;
- ცოდნის გაზიარება.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, პროექტის ინსტიტუციურ კოორდინაციას ერთობლივად ახორციელებენ სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და

სტანდარტების სამსახური და სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტი, ხოლო პროექტი სტუ-ს „ინოვაციების ცენტრი“-ს ეგიდით განხორციელდება.

პროექტის ფარგლებში პირველ წელს (2019) დაგეგმილია:

- ტრენინგები სამეწარმეო უნარების განვითარებაში (როგორც პედაგოგებისთვის, ასევე, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის);
- 10 ბიზნესიდეის შემუშავება ექსპერტთა (ტრენერთა) მოდერაციით;
- ბიზნესიდეების შემდგომი ინკუბაცია;
- საერთაშორისო ონლაინ ბიზნესიდეების ონლაინკონკურსის ორგანიზება;
- ბიზნესის ინგლისურის ენის ონლაინკურსების შეთავაზება სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის.

ამასთან ერთად, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და ბიზნესის სექტორსა და სტუ-ს შორის მჭიდრო თანამშრომლობის განვითარების მიზნით სტუ-ში განხორციელდება კილის უნივერსიტეტში წარმატებით აპრობირებული „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა“ (KRISP), რომელიც დიდ ბრიტანეთში საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ბიზნესებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის სტიმულირების და მხარდასაჭერად შეიქმნა. პროექტი განკუთვნილია იმ პირის/ების და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებისათვის (მცირე და საშუალო ბიზნესები), რომლებიც ახალი პროდუქტის, პროცესის ან სერვისის შექმნაზე ფიქრობენ ან შექმნის პროცესში არიან. პროექტის ეგიდით, აკადემიური ექსპერტიზისა და შესაბამისი ადამიანური რესურსის დახმარებით, დაგეგმილია, სტუ-მ განახორციელოს ბიზნესების მომარაგება ისეთი ექსპერტიზით, საქმისადმი ფოკუსირებით და სხვა დამატებითი პროცესებით, რომელიც უკვე მოქმედი ბიზნესის ინოვაციურ ზრდას შეუწყობს ხელს.

პროგრამა მთლიანად დაფინანსებულია ბრიტანული საბჭოების მიერ.

